საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ურთიერთსაპირისპირო შეფასებები შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პირველი გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინის“ საქმეზე მიიღო. შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წილების გასხვისების შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შეუტყობინებლობის გამო, კომისიამ მას რამოდენიმე ფულადი ჯარიმა დააკისრა, საბოლოოდ კი, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე.

“ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმითედისმა“ (შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის მესაკუთრე პარტნიორი) სარჩელი შეიტანა შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. მოსარჩელე დამატებით შუამდგომლობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შეჩერებულიყო გასაჩივრებული აქტის მოქმედება მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ხაზგასასმელია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმითედის“ პოზიცია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების მიმართ დასაბუთებული ეჭვის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმითედის“ საჩივარი და სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება დროებით შეაჩერა მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

ამის მიუხედავად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის ანგარიშში შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნა ყველაზე ეფექტურ მექანიზმად არის შეფასებული.

წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც წარმოჩენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ურთიერთსაპირისპირო შეფასებები შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის ანგარიშში გაკეთებული შეფასებები შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით		**თბილისის სააპელაციო სასამართლოს[1] შეფასებები შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით**
კომუნიკაციების კომისიის შეფასების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ფინანსური ჯარიმები ეფექტური არ იყო, მას უნდა მიემართა კანონით გათვალისწინებული სხვა ინსტრუმენტისთვის. მათ შორის კი, კომისიის შეფასებით, ყველაზე ეფექტური სპეციალური მმართველის დანიშვნა იყო. „კომუნიკაციების კომისიამ კანონით განსაზღვრული მეორე, უფრო მსუბუქი მექანიზმი გამოიყენა და კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, რათა „კავკასუს ონლაინს“, როგორც საბითუმო ინტერნეტის ბაზრის უმნიშვნელოვანეს მოთამაშეს, შეენარჩუნებინა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა“	➡	მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიის შეფასებით, ის მოქმედებდა კანონის ფარგლებში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა კომისიის მიერ გამოცემული აქტის კანონიერება. „სააპელაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების საფუძვლის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ მოცემული ეტაპისთვის საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, მართლაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული აქტის კანონიერების თაობაზე. მაგალითად, ამგვარი შთაბეჭდილება იქმნება კომისიის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას დაინტერესებულ მხარეთა მოწვევისა და მათი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობების კუთხით, რადგან იკვეთება არასრულყოფილება აღნიშნული თვალსაზრისით“
კომუნიკაცების კომისია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ დანიშნული სპეციალური მმართველის უფლებამოსილებები გარკვეული დროით არის შემოფარგლული. მიუხედავად ამისა, ანგარიშში არაფერია აღნიშნული სპეციალური მმართველის უფლებამოსილებების ფარგლების შესახებ. „კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, „კავკასუს ონლაინში“ სპეციალურ მმართველად „ოუფენ ნეტის“ ხელმძღვანელი, მარიამ სულაბერიძე იმ დრომდე დაინიშნა, ვიდრე კომპანიის კანონდარღვევით გასხვისებული წილის 49% პირვანდელ მდგომარეობაში არ დაბრუნდება და კანონის მოთხოვნა არ აღსრულდება.“	➡	„იკვეთება არასრულყოფილება ... სპეციალური მმართველის უფლებამოსილებების ფარგლების, მიზნის, აქტის მოქმედების შეუჩერებლობით მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თვალსაზრისითაც; შესაძლოა განუჭვრეტადიც კი გახდეს როგორც სპეციალური მმართველის ქმედებების შედეგები, ასევე, შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ და მისი პარტნიორებისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბები (ასეთის არსებობისას).“

საინფორმაციო მასალა მომზადებულია ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის (EED) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს EED-ს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ინფორმაციაზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

[1] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 1-ლი მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N 3ბ/2551-20